

ხილის საშრობის ექსპლოატაცია

- ხილის საშრობი განკუთვნილია საოჯახო მოხმარებისა და მცირე ბიზნესის განვითარების მიზნით ხილის, კენკრის, ბალახოვანი მცენარეებისა და სხვათა გასაშრობად მათი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესების გარეშე.
- ხილის შრობა ხორციელდება მზის ენერჯის ხარჯზე და ამიტომ მზის ენერჯის შემკრები- საშრობის მინიანი ნაწილი მიმართული უნდა იყოს სამხრეთისაკენ.
- თქვენთან თუ კარგად ანათებს ჩამავალი მზეც, მაშინ შესაძლებელია საშრობის ოდნავ შემობრუნება სამხრეთ - დასავლეთი მიმართულებით.
- საშრობი მასალა საშრობში უნდა მოთავსდეს დაჭრილი სახით, ხილის შემთხვევაში სასურველია გათლა.
- თითოეული საშრობი მასალა უნდა განთავსდეს ცალ-ცალკე და არ უნდა ეხებოდეს ერთმანეთს.
- ხილის შრობის დაჩქარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია განიავება
- ამისათვის ეფექტურად უნდა გამოიყენოთ საშრობში დამონტაჟებული განიავების სისტემა.



პუბლიკაცია მომზადდა პროექტის „საქართველოში თემზე დაფუძნებული ტყის მდგრადი მართვა ფშავის მაგალითზე“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება კლიმატის საერთაშორისო ინიციატივის (IKI) ფარგლებში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გარემოს დაცვის, ბუნების კონსერვაციისა და ატომური ენერჯეტიკის სამინისტროსთან (BMU) თანამშრომლობით.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო“, მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული დონორთა მოსაზრებებად.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო

თბილისი, სლავა მეტრეველის N4. 0112

ტელ: (+995 32) 2 30 62 21


ელ. ფოსტა: info@greens.ge

ვებ-გვერდი: www.greens.ge



Supported by:
Federal Ministry
for the Environment, Nature Conservation,
Building and Nuclear Safety
based on a decision of the German Bundestag

giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH



ხილისა და ბოსტნეულის შრობა
ხილის საშრობის ექსპლოატაცია

შრობისათვის განკუთვნილი ხილ-ბოსტნეულის დახასიათება

შრობისათვის გამოიყენება მცენარის მხოლოდ პროდუქტიული ნაწილი:

- ძირი;
- ნაყოფი;
- ღერო;
- ფოთოლი.

მცენარეები საკვები ნივთიერებების შემცველობის მიხედვით დაყოფილია:

- ფოთლოვანებად;
- ძირხვევებად;
- ხახვისნაირებად (ბოლქოვნები);
- ტუბეროვნებად;
- ხილეულებად.

ფოთლოვანი მცენარეებიდან შრობისათვის ძირითადად გამოიყენება:

- კამა;
- ოხრახუში;
- ხახვის მწვანე ფოთოლი;
- ქინძი;
- კომბოსტო.

ხახვისნაირებიდან:

- ხახვი;
- ნიორი.

ტუბეროვნებიდან:

- კარტოფილი

ძირხვევებიდან:

- ჭარხალი;
- სტაფილო;
- ოხრახუში;
- ძირთეთრა.

ხილეულებიდან:

- თესლოვნები (ვაშლი, მსხალი, კომში და სხვა);
- კურკოვნები (ალუბალი, ალუჩა, ბალი, ქლიავი, ატამი, გარგარი და სხვა);
- კენკროვნები (მოცხარი, ყურძენი, მოცვი, მარწყვი, ულო, მაცვალი და სხვა).

შრობისათვის გამოიყენება, ასევე ციტრუსოვანთა ნაყოფი, სუბტროპიკული ხურმა, ბალჩეული, ნესვი, გოგრა, სუფრის ყაბაყი.

შრობისათვის განკუთვნილი ნედლეულის შერჩევა ხდება ზომის, ფორმის, ხარისხის, ქიმიური შემადგენლობის, ჯიშობრივი თვისების, ბიოლოგიური მახვენებლებისა (თავისებურებისა) და სხვა პარამეტრების მიხედვით.



გასაშრობი ზომები:

ნედლეულის

ოპტიმალური

- ✓ გასაშრობი კამა ითვლება ხარისხიანად, თუ ღეროს ყელიდან წვერომდე სიგრძე მერყეობს 25-40 სმ-ს შორის,
- ✓ ოხრახუშის 12-15 სმ-ს შორის,
- ✓ ხახვის ფოთოლის სიგრძე 20-30 სმ-ს შორის.
- ✓ კომბოსტოს თავის წონა არ უნდა იყოს 0,8 კგ-ზე მეტი;
- ✓ ხახვის განივი ჭრილის დიამეტრი არ უნდა იყოს 3 სმ-ზე ნაკლები და წონა 25-50 გრ.
- ✓ კარტოფილის უდიდესი დიამეტრი არ უნდა იყოს 4 სმ-ზე ნაკლები;
- ✓ ჭარხლის უდიდესი დიამეტრი უნდა იყოს 5-14 სმ;
- ✓ სტაფილოს უდიდესი დიამეტრი – 2,5-6 სმ;
- ✓ ოხრახუშის ძირის 2 სმ;
- ✓ ძირთეთრას 3 სმ,
- ✓ ნიახურის 3 სმ;
- ✓ ვაშლის 3-5 სმ;
- ✓ გარგარის საშუალო წონა 40-60 გრ;
- ✓ ატამის საშუალო წონა 70- 82 გრ, (მსხვილი ატამი 80-142 გრ);
- ✓ ქლიავის საშუალო წონა 15-31 გრ;
- ✓ ალუბალი – 2,25-3,9 გრ;
- ✓ შინდი – 1,2-2,4 გრ;
- ✓ ულო – 1,2 – 1,6 გრ.

შრობისათვის მნიშვნელოვანია ფორმა. სასურველია შეირჩეს სფეროს ფორმასთან მაქსიმალურად მიახლოებული სიმეტრიული მასალა.